ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო კომისია

✉5000 საქართველო, ჩხოროწყუ,
დ. აღმაშენებლის ქ. №1

N 1 28 მაისი 2018 წ.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დათო გოგუას

,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების შესაბამისად გეგზავნებათ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო კომისიის 2018 წლის 23 მაისის №4 სხდომის ოქმიდან ამონაწერი.

დანართი: 3 ფურცელი.

პატივისცემით,

ზაზა ხორავა

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია
№ 1861
28 05 2018

საქართველო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა

საკონკურსო კომისია

5505000 საქართველო, ჩხოროწყუ,

დ. აღმაშენებლის ქ. №1

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო კომისიის 2018 წლის 23 მაისის №4 სხდომის ოქმიდან ამონაწერი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №4

დ. ჩხოროწყუ 23 მაისი, 2018 წელი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართა 2018 წლის 23 მაისს.

სხდომის ადგილი: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა.

კომისიის სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე-ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ზაზა ხორავა.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

- ✓ ედუარდ მალანია-ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ეკონომიკის, ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- ✓ სოლომონ კოზმავა-ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;
- ✓ თამაზ შენგელია-ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და კადრების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი;
- ✓ მაია სიჭინავა- სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის დაბა ჩხოროწყუს რამინ დიხამინჯიას სახელობის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი, კომისიის წევრი;
- ✓ ასმათ ესართია-საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის ჩხოროწყუს რაიონული ორგანიზაციის წევრი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2018 წლის 13 მარტს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე www.hr.gov.ge ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანსიებზე გამოცხადებული ღია კონკურსის მე–2 ეტაპზე (გასაუბრება) დაშვებულ კანდიდატთა შესაბამისობის შეფასება დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან და კონკურსის შედეგების შეჯამება.

/მომხს: ზ. ხორავა/

დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია, რომელმაც კომისიის წევრებს მოახსენა, რომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანსიებზე გამოცხადებული ღია კონკურსის მე-2 ეტაპი გასაუბრება გაიმართა 2018 წლის 4 მაისს, დადგენილი გრაფიკის შესაბამისად. გასაუბრებას აწარმოებდა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ზაზა ხორავა-კომისიის თავმჯდომარე, ედუარდ მალანია-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სოლომონ კოზმავა-კომისიის წევრი, თამაზ შენგელია-კომისიის წევრი, მაია სიჭინავა-კომისიის წევრი, ასმათ ესართია-კომისიის წევრი. გასაუბრება დაიწყო საკონკურსო კომისიის მიერ 2018 წლის 18 აპრილის №3 სხდომის ოქმით დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად და წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის თითოეული წევრი აკეთებდა ჩანიშვნებს კონკრეტული კანდიდატის მიმართ დასმული შეკითხვებისა და გაცემული პასუხების თაობაზე. შეკითხვები ისმებოდა როგორც დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტებიდან, ისე ზოგადი უნარ-ჩვევებიდან, კანდიდატის მიერ დასაკავებელი თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილი არიან შემდეგი კანდიდატები:

№	ვაკანსიის №	თანამდებობის დასახელება	წარდგენილი კანდიდატების სახელი, გვარი
		მერიის ადმინისტრაციული სამსახური	
1	48361	ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი (სოფელი ახუთი)	დავით ყალიჩავა
2	48362	ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი (სოფელი ხაბუმე)	ლანა ჩიქოვანი
3	48360	ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მერის წარმომადგენელი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ზუმის ადმინისტრაციულ ერთეულში	გიორგი ლემონჯავა

		მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახური	
4	48358	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების უფროსი	რამინ გაბედავა

კომისიის თავმჯდომარე /ზ. ხორავა/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე /ე. მალანია/

კომისიის წევრები: /ს. კოზმავა/

/თ. შენგელია/

/მ. სიჭინავა/

/ა. ესართია/

ოქმი ხელმოწერილია კომისიის წევრების მიერ.

სწორია: /ზ.ხორავა -საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე/